ოქმი N 14

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 25 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 ოქტომბრის №03/4273 წერილის განხილვა:

- ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2018 წლის 22 ოქტომბრის GOV 6180003446 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის N34 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 19 ოქტომბრის №03/4273 წერილის განხილვა:

- ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N01/227 წერილით მიეწოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სარეკომენდაციო წერილი GOV 91800022730, „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 და „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ზემო აღნიშნული ნორმატიული აქტები გამოცემულია ერთი და იმავე საკანონმდებლო საფუძვლით, კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტის მითითებით, რის გამოც მიზანშეწონილია აღნიშნული აქტების ერთ აქტად ჩამოყალიბება, ასევე აღინიშნა ის ფაქტი, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N67 დადგენილება არ შეიცავს ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მინიჭებასთან დაკავშირებული გასაცემლის პროგრამულ კოდს, რაც გამორიცხავს აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას.

მიღებული შენიშვნის თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მუშავდება დადგენილების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებასა და მინიჭებასთან დაკავშირებით, ხოლო მიმდინარე ეტაპისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ", რომლითაც ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 და „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებები.

მომხსენებლის განმარტებით, 2018 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კანონი „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ", რომლის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რაც ნორმატიული აქტის ბუნებიდან გამომდინარე იწვევს კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების ცვლილებას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების მე-2 მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც რეგულირდება სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი

ასევე წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ თანხმად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც ძირითადად შეეხება სამხედრო აღრიცხვიანობისა და გაწვევის სფეროს რეგულირებას, ენიჭება დადგენილი წესების დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელების დადების უფლებამოსილება.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხების გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნებთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტები: ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2018 წლის 22 ოქტომბრის GOV 6180003446 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის N34 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც პეტიციის წარმდგენ სუბიექტს ენიჭება უფლებამოსილება პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის მოთხოვნის გარეშეც წარმოადგინოს პეტიცია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.
აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს შინაური ცხოველების ყოლის წესები და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები. ამ უფლებამოსილების ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზეც რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესი, დგინდება ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობები.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 137-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს.

მომხსენებელმა კომისიას შესთავაზა წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით და მოხსენებით ბარათებთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“, ინიციირების წესით, განმარტებით და მოხსენებით ბარათებთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია